ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში
თბილისი, საქართველო, 6 სექტემბერი, 2013

ანგარიში მომზადებულია ეროვნულ–დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო დელეგაციის მიერ, რომლის წევრები არიან: კრისტინ ტოდ უიტმანი, ნიუ–ჯერსის შტატის ყოფილი გუბერნატორი; რობინ კარნაჰანი, მისურის შტატის ყოფილი მდივანი; პერ ეკლუნდი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ყოფილი ხელმძღვანელი; დეიმონ უილსონი, ატლანტიკური საბჭოს ვიცე-პრეზიდენტი; კენეთ ვოლაკი, NDI-ის პრეზიდენტი; ლორა ჯუიტი, NDI–ის ევრაზიის რეგიონალური პროგრამების დირექტორი და ლუის ნავარო, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი.

დელეგაციის მიზანი იყო 27 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადების ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება, ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი და იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესზე გავლენის მოხდენა შეუძლია, და საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით რეკომენდაციების გაცემა.

ვიზიტის ფარგლებში დელეგაცია შეხვდა: საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ–მინისტრს, საგარეო საქმეთა, იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრებს, რიგ საპრეზიდენტო კანდიდატებს, პოლიტიკური პარტიების ლიდერებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თავმჯდომარეს, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანს, არჩევნებზე დამკვირვებელი არასამთავრობო ორგანიზაციების და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. დელეგაცია საქმიანობდა საქართველოს კანონმდებლობის და იმ არჩევნებზე დაკვირვების პრინციპების დეკლარაციის შესაბამისად, რომლებიც აღიარებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ. NDI არ ერევა საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში, არ აპირებს და არც შეუძლია საარჩევნო პროცესის საბოლოო შეფასება. დელეგაცია აცხადებს, რომ არჩევნების სანდოობას საბოლოოდ სწორედ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშს დელეგაცია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერის და გაძლიერების სულისკვეთებით წარმოადგენს.

NDI-ის მოსაზრებები ასევე ეყრდნობა ქვეყანაში NDI–ის მიმდინარე საქმიანობას და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის (საია), საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს, საერთო სამოქალაქო მოძრაობა–მრავალეროვანი საქართველოს გრძელვადიან სადამკვირვებლო ძალისხმევას. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ და საიამ საარჩევნო პროცესებზე გრძელვადიანი დაკვირვება 2012 წლის 1 ივლისს დაიწყეს. აგვისტოს შუა რიცხვებიდან NDI–იმ საქართველოში გრძელვადიან ანალიტიკოსთა ჯგუფი მიავლინა, რომლებიც თბილისიდან და საქართველოს სამი ქალაქიდან აკვირდებიან ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო პროცესებს. ისინი საქართველოში

საპრეზიდენტო არჩევნების დასრულებამდე დარჩებიან. უშუალოდ არჩევნების დღეს კი NDI აპირებს მოკლევადიანი საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის საშუალებით დააკვირდეს.

დელეგაცია მადლობას უხდის ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), რომელმაც დააფინანსა დელეგაციის საქმიანობა და რომელიც შვედეთის საერთაშორისო განვითარების და თანამშრომლობის სააგენტოსთან (Sida) ერთად მხარს უჭერს NDI-ის დემოკრატიის გაძლიერების პროგრამებს საქართველოში. დელეგაცია ასევე მადლიერია მათი, ვინც დრო დაუთმო შეხვედრებს და თავისუფლად გამოხატა თავისი შეხედულებები საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით. მუშაობის პროცესში და ანგარიშის მომზადებისას დელეგაცია სწორედ მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას დაეყრდნო. NDI გამოხატავს მზადყოფნას, განაგრძოს დემოკრატიული პრაქტიკის, ინსტიტუტებისა და ფასეულობების დასამკვიდრებლად და შესანარჩუნებლად საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერა.

მოკლე მიმოხილვა

ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებს საქართველოს მოსახლეობა დემოკრატიის ფუნდამენტურ პრიციპებზე დამყარებულ საარჩევნო გარემოში ხვდება. ეს პრინციპებია: ძალაუფლების არჩევნების გზით გადაბარების პირველი პრეცენდენტი; ძლიერი პოლიტიკური ოპოზიცია; პარლამენტი, რომელიც შინაარსობრივი დებატებითა და გადაწყვეტილებებით ხასიათდება; დამოუკიდებლობის უფრო მაღალი ხარისხის მქონე სასამართლო; აქტიური სამოქალაქო საზოგადოება; და ცოცხალი მედია გარემო. ეს ყოველივე დადებითი, თუმცა მყიფე მოვლენებია.

ამჟამად საქართველოს ამომრჩეველი გასულ არჩევნებთან შედარებით უფრო ღია საარჩევნო გარემოთი სარგებლობს. საპრეზიდენტო კანდიდატებს აქვთ საშუალება, ელექტორატს მედიის საშუალებით ესაუბრონ და, გარდა საპარლამენტო ოპოზიციის მაღალი თანამდებობის პირებთან დაკავშირებული რამდენიმე შემთხვევისა, დაუბრკოლებლად შეხვდნენ ამომრჩეველს. სამოქალაქო საზოგადოების წევრებს საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირებზე მიუწვდებათ ხელი. ახალი საარჩევნო კოდექსი წინა არჩევნების დროს გამოვლენილ რამდენიმე გამოწვევას პასუხობს. საქართველოს ელექტორატს საშუალება აქვს, პლურალისტურ და ხმაურიან პოლიტიკურ დებატებს ადევნოს თვალყური. NDI–ის სადამკვირვებლო დელეგაციასთან პოლიტიკური აქტორების მიერ გამოთქმული შეშფოთებები სერიოზულია, თუმცა ნაკლებად გავრცელებული, ვიდრე ეს წინა წელს იყო.

მიუხედავად იმისა, რომ გასული შემოდგომის საპარლამენტო არჩევნები საქართველოსთვის გარდამტეხი იყო, ეს საპრეზიდენტო არჩევნები საქართველოს კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნებისა და პრაქტიკის ნორმალიზების საშუალებას სთავაზობს. თუ საქართველო ჩაატარებს არჩევნებს, რომელიც საერთაშორისო სტანდარტებს შეესაბამება და მოსახლეობის ნდობით სარგებლობს, ეს თანმიმდევრულ პრინციპებსა და პროგნოზირებად წესებზე დამყარებული დემოკრატიული კულტურის განვითარებას შეუწყობს ხელს. ეს რეგიონში განსაკუთრებული მიღწევა იქნება.

თუმცა ამის მისაღწევად საქართველოს მაღალჩინოსნები მონდომებით უნდა გაუმკლავდნენ საკითხებს, რომლებმაც შესაძლოა, საარჩევნო პროცესის სანდოობაზე უარყოფითი გავლენა იქონიოს. დელეგაციამ მოისმინა სერიოზული შეშფოთებები პოლიტიკურად მოტივირებული ძალადობის, დაკითხვებისა და გამოძიებების, ადგილობრივ დონეზე არჩევნების გარეშე პოლიტიკური ხელისუფლების ცვლილებებისა და უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობის შესახებ. ამასთანავე ყველა პოლიტიკურ აქტორს ეკისრება პასუხისმგებელობა, საკუთარი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტები და პროცესები გამოიყენონ.

საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებული საქმიანობას შემცირებული კონსტიტუციური ძალაუფლებით შეუდგება. ამის მიუხედავად, ამ ადამიანს შეუძლია, არსებითი როლი შეასრულოს ინკლუზიური, ცივილური პროცესის ჩამოყალიბებაში და შექმნას მმართველობის ისეთი მაგალითი, რომელიც საქართველოს დემოკრატიას გაამყარებს.

პოლიტიკური კონტექსტი

2013 წლის 27 ოქტომბერს საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენიდან საპრეზიდენტო არჩევნები მეექვსედ ჩატარდება და გამარჯვებული კანდიდატი შემცირებული ძალაუფლებით შეუდგება საქმიანობას. საკონსტიტუციო რეფორმა, რომლითაც საქართველო საპრეზიდენტო სისტემიდან საპარლამენტო სისტემაზე გადავა, სახელმწიფოს ახალი მეთაურის ინაუგურაციისთანავე შევა ძალაში. შესაბამისად, ამ არჩევნებისათვის საარჩევნო გარემო და მიმდინარე პროცესები მის შედეგებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

არჩევნები მნიშვნელოვანი ტესტია, ერთის მხრივ, მთავრობისთვის დემოკრატიული ღირებულებებისა და პრაქტიკისადმი ერთგულების დასადასტურებლად, მეორეს მხრივ კი ოპოზიციისთვის - კონსტრუქციული ჩართულობის დასამტკიცებლად. არჩევნები პოლიტიკურ პარტიებს აძლევს საშუალებას, გასცდნენ პოლარიზებულ პოლიტიკურ რიტორიკას და მომავალზე ორიენტირებული, კონკრეტულ საკითხებზე დაფუძნებული კამპანიები აწარმოონ. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად საქართველოში პირველად მოხდა პოლიტიკურ გუნდებს შორის ძალაუფლების მშვიდობიანი და დემოკრატიული გადაცემა. გამართულად ჩატარების შემთხვევაში, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები შეიძლება კონკურენტული პარტიული პოლიტიკის ნორმალიზების ნიშანი გახდეს, რაც განსაკუთრებული მიღწევა იქნება როგორც ქვეყნის, ისე მთლიანად რეგიონისთვის.

საპრეზიდენტო არჩევნების თანმდევი კამპანია 2014 წლის მაისის ადგილობრივი არჩევნებისთვის გარკვეული მაგალითი იქნება. მოსალოდნელია, რომ მუნიციპალური არჩევნები საკმაოდ კონკურენტული იქნება. შესაბამისად, საპრეზიდენტო კამპანიის დროს დამკვიდრებულმა ტონმა და პრეცენდენტებმა შესაძლოა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ჩატარებასა და მის მიმართ ნდობაზე მოახდინოს გავლენა.

საქართველოს მოქალაქეები ისწრაფვიან კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ტერიტორიული მთლიანობისა და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციისკენ. ამ მიზნების მიღწევა დამოკიდებულია არა მხოლოდ უკვე არსებული დემოკრატიული ინსტიტუტების

გაძლიერებაზე, არამედ დემოკრატიული პრინციპებისა და პრაქტიკის დანერგვით მათთვის მნიშვნელოვანი როლის მინიჭებაზე.

დელეგაციის დაკვირვებები

არჩევნების შეფასება არ შეიძლება მოხდეს კონტექსტის გათვალისწინების გარეშე. არჩევნების დემოკრატიულობის ხარისხის შესაფასებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ წინასაარჩევნო პერიოდი, მათ შორის, არჩევნებისთვის მზადების პროცესი და პოლიტიკური გარემო. ნებისმიერი არჩევნების ზუსტი შეფასებისათვის საარჩევნო პროცესის ყველა ასპექტია მნიშვნელოვანი: 1) საარჩევნო კანონმდებლობით შექმნილი პირობები; 2) წინასაარჩევნო პერიოდი, როგორც კამპანიის დაწყებამდე, ისე მისი მიმდინარეობისას; 3) კენჭისყრის პროცესი; 4) ხმის მიცემის პროცედურა; 5) შედეგების შეჯამება; 6) საჩივრების განხილვა და გადაწყვეტილების გამოტანა; და 7) ახალი ხელისუფლების ფორმირების პირობები.

თანამდებობების ვადაზე ადრე დატოვება იმის გათვალისწინებით, რომ 2012 წლის არჩევნები საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად ჩატარდა, დელეგაცია შეშფოთებით აღნიშნავს მუნიციპალურ არჩევნებამდე ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლების მიერ თანამდებობების დროზე ადრე დატოვების ტალღას.

საერთაშორისო გამჭვირვალობა–საქართველოს ანგარიშის თანახმად, 2012 წლის ოქტომბრიდან 2013 წლის მარტის პერიოდში ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე 5000-ზე მეტმა საჯარო მოხელემ საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა ან გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ მაშინდელი მმართველი პარტია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტებში უმრავლესობას ფლობდა. ყველა საკრებულოს თავმჯდომარე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო და ყველა გამგებელიც ამავე პარტიიდან იყო დანიშნული. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების ანგარიშის თანახმად, არჩევნების შემდგომ პერიოდში 69 გამგებლიდან 56, ხოლო 69 საკრებულოს თავმჯდომარიდან 31 კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატით შეიცვალა. ზოგიერთ შემთხვევაში თანამდებობის პირებმა პოლიტიკური გუნდი შეიცვალეს ან საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე დატოვეს თანამდებობა. რიგ შემთხვევებში კი კონკრეტული პირების განცხადებით, მათზე თანამდებობის დატოვების მიზნით ზეწოლა განხორციელდა. სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების და საიას დაკვირების თანახმად, თანამდებობიდან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების გადადგომის მოთხოვნით საქართველოს მასშტაბით 74 საპროტესტო აქცია გაიმართა.

ხელისუფლების ერთ დონეზე არჩევნების შედეგები არ უნდა აბათილებდეს არჩევნების შედეგებს ხელისუფლების სხვა დონეებზე. ეს დემოკრატიული მმართველობის პრინციპია.

ძალადობა და დაშინება. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია შეკრების თავისუფლება და ეს უფლება უპირობოდ უნდა იქნას დაცული. საჯარო მოხელეებსა და კანდიდატებს უნდა მიეცეთ საშუალება, შეასრულონ საკუთარი მოვალეობები დაშინების ან ფიზიკური ხელყოფის საფრთხის გარეშე. ბოლო ოცწლეულის მანძილზე ამ კუთხით

ვითარება მუდმივად უმჯობესდებოდა. თუმცა დელეგაციამ მოისმინა ინფორმაცია ძალადობის შემთხვევების შესახებ, რომლებიც ნაციონალური მოძრაობის საპრეზიდენტო კანდიდატის, საჯარო მოხელეებისა და უმცირესობების ჯგუფების, მათ შორის მუსლიმების და ლგბტ ადამიანების უფლებათა დამცველების წინააღმდეგ იყო მიმართული. მიუხედავად იმისა, რომ ხდებოდა ძალადობაში მონაწილეთა დაკავება, ის მცირე ფულადი ჯარიმები, რაც მათ დაეკისრათ, მსგავსი ქმედების პრევენციისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

საარჩევნო გარემოში ზეწოლის შესახებ შთაბეჭდილებამაც კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს პარტიულ აქტივისტებსა და ამომრჩეველზე. შესაბამისად, დადებითად უნდა შეფასდეს იუსტიციის მინისტრის 4 სექტემბრის განცხადება, რომლითაც მან კიდევ ერთხელ დაადასტურა უწყებათაშორისი კომისიის მიერ 2013 წლის მარტში მიღებული რეკომენდაცია წინასაარჩევნო პერიოდში ადგილობრივი თანამდებობის პირებისა და პარტიული შტაბის აქტივის წევრების დაკითხვების დროებით შეჩერების შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ აგვისტოს ბოლოს ადიგენის გამგებლის მიმართ გატარებული საგამოძიებო მოქმედებები და მისი დაპატიმრება უწყებათაშორისი კომისიის მიერ მიღებული რეკომენდაციის თანმიმდევრული არ არის.

საარჩევნო კანონმდებლობა და ადმინისტრაცია

წინა არჩევნების მსგავსად, საპრეზიდენტო არჩევნებსაც ადმინისტრირებას გაუწევს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო), 73 საოლქო საარჩევნო კომისია და დაახლოებით 3800 საუბნო საარჩევნო კომისია. თითოეული კომისია 13 წევრისგან შედგება, რომელთაგან ექვსი პროფესიული ნიშნით შერჩეული არაპარტიული წევრია და შვიდი პოლიტიკური პარტიების მიერ არის დანიშნული. ამჟამად ექვს წევრს ნიშნავს კოალიცია „ქართული ოცნება“ (რაც კოალიციაში შემავალ ექვს პარტიას ასახავს), ხოლო ერთს – „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

ამჟამად მოქმედი საარჩევნო კოდექსი 2011 წლის დეკემბერში იქნა მიღებული. საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და არასაპარლამენტო პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლების მიერ დაკომპლექტებული ინტერფრაქციული სამუშაო ჯგუფი 2012 წლის არჩევნების შემდეგ საარჩევნო კანონმდებლობაში დამატებითი ცვლილებების შეტანის რეკომენდაციით გამოვიდა. 2013 წლის ივლისსა და აგვისტოში პარლამენტმა მიიღო ცვლილებები, რომელიც ეხება: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებაზე ახალი შეზღუდვების დაწესებას და საუბნო საარჩევნო კომისიის მდივნების შერჩევის კრიტერიუმებს. ცვლილებებით აგრეთვე განისაზღვრა შემდეგი საკითხები: რეგისტრაციიდან მოხსნილ მოქალაქეთა ხელახალი რეგისტრაციის წესი; ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი უფლებამოსილება საოლქო საარჩევნო კომისიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომების გამოყენების თაობაზე; ნორმა, რომელიც საშუალებას აძლევს პარტიებს, რომლებსაც საპარლამენტო არჩევნებისთვის რეგისტრაცია არ გაუვლიათ, ჩაერთონ საპრეზიდენტო არჩევნებში; და ნორმა ადგილობრივი არჩევნებისთვის ბიომეტრიული რეგისტრაციის შესახებ. დელეგაციის მისიის დამთავრების დროისათვის რამდენიმე დამატებითი ცვლილება ჯერ კიდევ საპარლამენტო განხილვის პროცესში იყო.

პარტიების, კანდიდატებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობამ დაადასტურა, რომ, მთლიანობაში, აღნიშნული ცვლილებები პოზიტიურია და საარჩევნო კანონმდებლობა სანდო არჩევნების ჩატარების შესაძლებლობას იძლევა. თუმცა რამდენიმე არასაპარლამენტო პარტიამ უკმაყოფილება გამოთქვა 2013 წლის ცვლილებების განხილვის პროცესში მათი ჩართულობის ხარისხზე. უფრო მეტიც, მათ შეშფოთება გამოხატეს იმასთან დაკავშირებით, რომ, განსხვავებით წინა არჩევნებისგან, არასაპარლამენტო პარტიებს საარჩევნო კომისიების არც ერთ დონეზე წარმომადგენლობა არ ეყოლებათ; საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში ამჟამად მხოლოდ კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არის წარმოდგენილი. არასამთავრობო ორგანიზაციებმა ასევე საარჩევნო კომისიებში მმართველი კოალიციის დომინირებაზე მიუთითეს. დამატებით, ცესკომ და საარჩევნო შტაბების წარმომადგენლებმა არჩევნებამდე დარჩენილ მცირე დროში ცვლილებებთან მორგებასთან დაკავშირებით შეშფოთება გამოხატეს და მათი ადეკვატური გასაჯაროება და განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს. პოტენციურ პრობლემად დასახელდა ადგილობრივი არჩევნებისთვის დროული ბიომეტრიული რეგისტრაცია ისე, რომ საარჩევნო უფლების განხორციელებას მასობრივად არ შეეშალოს ხელი.

არჩევნების ადმინისტრირების კუთხით შემაშფოთებელ ასპექტად 12 აგვისტოს ცესკოს თავმჯდომარის გადადგომა და მისი საპრეზიდენტო კანდიდატად დარეგისტრირება გახლდათ. აღნიშნული პრობლემატურია, რადგან კომისია მოახლოებულ არჩევნებს მუდმივმოქმედი ხელმძღვანელობის გარეშე ხვდება და, სულ ცოტა, მის მიერ თანამდებობის დატოვებამდე მიღებული გადაწყვეტილებების მიმართ ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შესახებ კითხვებს ბადებს. თუმცა ის ფაქტი, რომ, საერთო ჯამში, საარჩევნო ადმინისტრაცია არჩევნებისთვის პროფესიონალურად მზადებას განაგრძობს, მიუთითებს ყოფილი თავმჯდომარის თანამდებობაზე ყოფნის დროს კომისიის ხარისხის ზრდაზე.

ცესკოს სწავლების ცენტრმა შეარჩია და მოამზადა 112 ტრენერი, რომლებიც 5 სექტემბრიდან საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებს და 13 სექტემბრიდან საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებს მოამზადებენ. NDI–ის ანალიტიკოსების ცნობით, საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები საარჩევნო პროცესის ამ ეტაპზე პროფესიონალიზმსა და კომპეტენტურობას ამჟღავნებენ. დელეგაცია მიესალმება ცესკოს მიერ კანონის უზენაესობაზე, გამჭვირვალობასა და ანგარიშვლადებულებაზე, და დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობაზე ყურადღების გამახვილებას.

წინააღმდეგობრივ საკითხად გამოიკვეთა ცესკოს მიერ ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირთა რეგისტრაციაზე უარის თქმა. ერთ შემთხვევაში სასამართლომ ცესკოს გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა. მეორე განმცხადებლის საჩივარზე გადაწყვეტილება ჯერ არ არის გამოტანილი. მოქალაქეობის საკითხის ირგვლივ მიმდინარე დებატები მიუთითებს კანდიდატისა და თანამდებობის დაკავებისათვის არსებული მოთხოვნების დაზუსტების აუცილებლობაზე და აგრეთვე აღნიშნული სტანდარტების გამოყენების თანმიმდევრულობაზე.

უწყებათაშორისი კომისია

უწყებათაშორისი კომისია სამართლიანი და თავისუფალი არჩევნებისათვის (უწყებათაშორისი კომისია) არჩევნების დროს საჯარო თანამდებობის პირების მიერ ჩადენილ საარჩევნო დარღვევებზე რეაგირების მიზნით 2008 წელს დროებით შეიქმნა. 2011 წელს კომისია კანონმდებლობით განისაზღვრა, როგორც მუდმივმოქმედი ნახევრად–სამთავრობო უწყება, რომელსაც მთავრობისა და პოლიტიკური პარტიებისთვის რეკომენდაციების გაწევის უფლებამოსილება მიენიჭა. 2013 წლის აგვისტოში უწყებათაშორისი კომისია პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელი ეროვნული უშიშროების საბჭოს დაქვემდებარებიდან იუსტიციის სამინისტროს მმართველობის ქვეშ გადავიდა. 10–კაციანი ჯგუფი სხვადასხვა სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების მაღალი თანამდებობის პირებისგან შედგება.

NDI–იმ და სხვა საერთაშორისო დამკვირვებლებმა წინა არჩევნებისას უწყებათაშორისი კომისია ნდობის ჩამოყალიბებაში მის მიერ შესრულებული როლის გამო გამოარჩიეს. ახლადგარდაქმნილმა უწყებათაშორისმა კომისიამ სულ ახლახანს დაიწყო თავისი საქმიანობის განხორციელება. მაშინ, როცა უწყებათაშორისი კომისიის მონაწილეებმა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა პოზიტიურად შეაფასეს კომისიის იუსტიციის სამინისტროს ეგიდის ქვეშ გადასვლა, იმედი გამოთქვეს, რომ კომისია წამოჭრილ საკითხებზე სწრაფი რეაგირების პრაქტიკას დანერგავს.

პოზიტიურად უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მსგავსად, უწყებათაშორისმა კომისიამ ხელი მოაწერა ცესკოსა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ შემუშავებულ ურთიერთგაგების მემორანდუმს, რომელიც ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ საარჩევნო კოდექსში არსებულ ზოგიერთ დებულებას აზუსტებს.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება

ადმინისტრაციული რესურსის არამიზნობრივი გამოყენება საქართველოში არჩევნების ერთ–ერთი მახასიათებელი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ხარვეზის აღმოსაფხვრელად პარლამენტმა გარკვეული ზომები უკვე მიიღო, კანონმდებლობა ჯერაც არასაკმარისად ნათლად მიჯნავს სახელმწიფო და პარტიულ რესურსებს. რამდენიმე შესაძლო დარღვევა უკვე დაფიქსირდა. აღნიშნული კონტექსტის გათვალისწინებით განსაკუთრებული ძალისხმევა და პოლიტიკური ნებაა საჭირო ზემოხსენებული პრაქტიკის გამოსასწორებლად.

ამომრჩეველთა სიები

NDI–ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების მიხედვით, არჩევნების სანდოობის კუთხით, ამომრჩეველთა სიები საქართველოს მოქალაქეების მიერ ერთ-ერთ ყველაზე ხშირად დასახელებულ პრობლემად რჩება. ცესკოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 97 000 ამომრჩეველი - მათგან 70 000 ამომრჩეველი თბილისში – რეგისტრაციის მისამართზე არ ცხოვრობს. 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ეს ამომრჩეველი დროებით „წითელ სიაში“ შეიყვანეს და ხმის მიცემის შესაძლებლობა მისცეს. ცესკოს თანახმად, აღნიშნული რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლის თითქმის 50 პროცენტმა 2012 წლის არჩევნებში

მისცა ხმა. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩეველი ვალდებულია, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში ხელახლა დარეგისტრირდეს და 10 ოქტომბრამდე განახლებული პირადობის დამადასტურებელი მოწმობის აღების მოთხოვნის განაცხადი შეიტანოს. ცესკო და იუსტიციის სამინისტრო ტელევიზიისა და კარდაკარ დაკავშირების საშუალებით ამომრჩევლის განათლების კამპანიის წამოწყებას გეგმავენ. კამპანიის მიზანია, ამომრჩეველს მიაწოდოს ინფორმაცია საკუთარი მონაცემების შესწორების შესაძლო საჭიროების შესახებ. თუმცა არ არსებობს პირდაპირი მეთოდი, რომელიც მსგავს ამომრჩეველს საკუთარი სტატუსის შესახებ ინფორმაციას მიაწვდის. მნიშვნელოვანია, გამოყენებულ იქნას ყველა ძალისხმევა, რათა ლეგიტიმურ ამომრჩეველს არჩევნებში ხმის მიცემის შესაძლებლობა მიეცეს.

საარჩევნო კამპანიის დაფინანსება

პარტიებისა და საარჩევნო კამპანიის დაფინანსება დიდი ხანია საქართველოში დავის საგანს წარმოადგენს: როგორც წესი, პარტიების რესურსები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. რიგი მიზეზების გამო, საარჩევნო კამპანიის დაფინანსების საკითხი განსაკუთრებით მწვავედ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს იდგა. 2011 წლის მიწურულს, სავარაუდოდ, მაშინდელი ოპოზიციის მიერ გაწეულ ფართომასშტაბიან ხარჯებზე საპასუხოდ, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონში პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული წესები შეიცვალა. ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ფინანსური მონიტორინგის სამსახურს კანონდებლობის აღსრულების უფლებამოსილება მიენიჭა. NDI–ის გასული წლის დელეგაციამ და სხვა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა სახელმწიფო აუდიტის სამსახური აღქმული პოლიტიკური მიკერძოებულობისა და უფლებამოსილების გადამეტების გამო გააკრიტიკა.

2012 წლის არჩევნების შემდეგ პარლამენტმა კვალიფიციურ პოლიტიკურ სუბიექტებს (მათ, ვინც საპარლამენტო არჩევნებზე 4% ბარიერი, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე 3% ბარიერი გადალახა) დაფინანსება გაუზარდა და ასევე გაუზარდა დაფინანსება დამატებით ოთხ პოლიტიკურ პარტიას. პარლამენტმა შეამცირა პარტიებისთვის სახელმწიფო დაფინანსების მისაღებად საჭირო ბარიერიც; ფიზიკურ პირებთან ერთად დაუშვა იურიდიული პირებისგან შემოწირულობების მიღება; შეარბილა სანქციები საარჩევნო კამპანიის არაკანონიერი დაფინანსებისა და ხარჯებისთვის; და შეზღუდა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ არაგეგმიური აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება. პარლამენტმა ასევე გამოაცხადა ამნისტია 2012 წლის ოქტომბრამდე დაფინანსების წესების დარღვევის გამო დაწესებულ ჯარიმებზე. ეს ნაბიჯი 2012 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გადაჭარბებული მოქმედებების კომპენსაციის მიზნით გადაიდგა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სამსახურს მონიტორინგის მასშტაბები გაეზარდა მაშინ, როცა დარღვევების გამოძიებისა და სანქციების დაკისრების კუთხით მათი შესაძლებლობები შემცირდა. ამჟამად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გამოწვევას წარმოადგენს კამპანიის დაფინანსების წესების მიუკერძოებელი დაცვა და მხარეების მიერ მათი შესრულების უზრუნველყოფა.

მედია გარემო

საქართველოს მოსახლეობის უმეტესობისთვის ტელევიზია ინფორმაციის მთავარ წყაროდ რჩება. NDI–ის მიერ ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 87% მიმდინარე მოვლენებისა და პოლიტიკის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ტელევიზიების საშუალებით იღებს. ყველაზე პოპულარული ტელევიზიები, როგორიცაა საზოგადოებრივი მაუწყებელი და კომერციული არხები – რუსთავი 2, იმედი, მაესტრო და კავკასია – მთელი ქვეყნის მასშტაბით მაუწყებლობს. სამი ყველაზე პოლულარული სატელევიზიო არხი სხვადასხვა ჯგუფების შეხედულებებს გამოხატავს. საზოგადოებრივი აზრის კვლევების თანახმად, მოსახლეობის უმეტესობა აღნიშნავს, რომ იღებს საკმარის ინფორმაციას იმ პოლიტიკური პარტიის შესახებ, რომელსაც მხარს უჭერს. Freedom House-ის ბოლო ანგარიშის თანახმად, საქართველოში მედია გარემო გაუმჯობესდა.

დადებითად შეფასდა პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილება, დაეხურა მისი ოჯახის საკუთრებაში არსებული ტელევიზია (მე–9 არხი), რითაც მან ხაზი გაუსვა სურვილს, თავიდან აირიდოს აღქმა ტელევიზიის საკუთარი პოლიტიკური მიზნებისთვის გამოყენების შესახებ. კიდევ ერთი დადებითი ნაბიჯი იყო პარლამენტის გადაწყვეტილება აჭარის ტელევიზიის ადგილობრივი ხელისუფლების კონტროლიდან საზოგადოებრივი მაუწყებლის დაქვემდებარებაში გადაცემის თაობაზე.

მიუხედავად ამისა, ხუთი სადამკვირვებლო და მედია ორგანიზაციისგან შემდგარმა ჯგუფმა საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტში მოსალოდნელი ცვლილებების ფონზე არხის მიერ პოლიტიკის დაბალანსებული გაშუქების უზრუნველყოფის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი. ასევე, გრძელვადიან პერსპექტივაში, ქართული ტელე–არხების გაურკვეველმა ფინანსურმა მდგომარეობამ სამომავლოდ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას საქართველოს მოქალაქეების ხელმისაწვდომობას მრავალფეროვან და ასევე რეგიონალურ მედია საშუალებებზე. მაესტრო და რეგიონალური ტელევიზიები დღესდღეობით ამ მიმართულებით ყველაზე დაუცველად გამოიყურება.

საზოგადოებრივი მაუწყებელი გამართავს დებატებს საპრეზიდენტო კანდიდატების მონაწილეობით და დაუთმობს უფასო საეთერო დროს (90 წამი ყოველ სამ საათში საერთო მაუწყებლობის ლიცენზიის მქონე მედია საშუალებებში და 60 წამი ყოველ სამ საათში საზოგადოებრივ მაუწყებელზე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ შემავალ ექვს პოლიტიკურ პარტიას და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ ასევე ეკუთვნის სახელმწიფო დაფინანსება სატელევიზიო რეკლამისთვის. უფასო საეთერო დროსთან და რეკლამასთან დაკავშირებული განსხვავებული კრიტერიუმები დამაბნეველია როგორც ამომრჩევლისთვის, ისე პოლიტიკური პარტიებისთვის.

ეთნიკური უმცირესობები

საარჩევნო დარღვევების შესახებ საჩივრები, ტრადიციულად, ყოველთვის ბევრი იყო ეთნიკური უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში. ამგვარად, განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, რომ ამ რეგიონებში მცხოვრებ ამომრჩევლებს მათ მშობლიურ ენაზე დაბეჭდილ საარჩევნო მასალებზე მიუწვდებოდეთ ხელი, რათა ინფორმირებული არჩევანის გაკეთება შეძლონ.

ცესკომ აღნიშნა, რომ 73 ოლქიდან 9 ოლქში ამომრჩეველთა სიებსა და საარჩევნო ბიულეტენებს როგორც ქართულ, ისე ეთნიკური უმცირესობების მშობლიურ ენაზე დაბეჭდავს. ცესკო საარჩევნო ადმინისტრაციის წევრებისთვის ტრენინგებს მათ მშობლიურ ენაზე ატარებს და აწვდის შესაბამის ენაზე დაბეჭდილ საარჩევნო მასალებს. აგრეთვე, ეთნიკური უმცირესობების საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, ცესკო ახორციელებს ამომრჩეველთა განათლების ღონისძიებებს.

ქალთა პოლიტიკური მონაწილეობა

საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი ხუთმა ქალმა შეიტანა. პარლამენტმა მიიღო ცვლილება კანონში, რომელიც მიზნად ისახავს პარტიების საპარლამენტო და ადგილობრივი არჩევნების სიებში განსხვავებული სქესის კანდიდატების რიცხვისა და განლაგების გაზრდის ხელშეწყობას ფინანსური წახალისებების გზით. აღნიშნული ნაბიჯები საქართველოსთვის პროგრესის მანიშნებელია. ამჟამად ცესკოში პარტიების მიერ დანიშნული სამი ქალია, რაც 2012 წელთან შედარებით გაზრდილი მაჩვენებელია. მიუხედავად ამ წინსვლისა, პარლამენტთაშორისი კავშირის მონაცემების მიხედვით, საკანონმდებლო ორგანოში ქალი პარლამენტის წევრების რაოდენობის მიხედვით საქართველო ეუთოს წევრ ქვეყნებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილს იკავებს. საქართველოს პარლამენტის 150 წევრიდან 17 ქალია, რაც 11%-ს შეადგენს და მსოფლიოს საშუალო მაჩვენებელს (თითქმის 20%) ჩამორჩება.

არჩევნებზე დაკვირვება

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ არჩევნებზე დასაკვირვებლად 27 ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაცია დაარეგისტრირა, მათ შორის: სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველო; 11 საერთაშორისო ორგანიზაცია; და 8 მედია საშუალება. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამდებობის პირები და სხვადასხვა პოლიტიკური ლიდერები ერთსულოვნად მიესალმნენ და ხელს უწყობენ არჩევნებზე დაკვირვების როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივ მცდელობებს. ამ მხრივ საქართველო რეგიონში ლიდერის პოზიციას ინარჩუნებს.

დელეგაციის რეკომენდაციები

საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, NDI-ის დელეგაცია ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებისა და 2014 წლის ადგილობრივი არჩევნების წინმსწრები პროცესების მიმართ საზოგადოების ნდობის შემდგომი განმტკიცების ხელშეწყობის მიზნით შემდეგ რეკომენდაციებს წარმოგიდგენთ:

- უწყებათაშორისმა კომისიამ დაუყოვნებლივი რეაგირება მოახდინოს სანდო ინფორმაციაზე კამპანიის განმავლობაში გამოვლენილი დარღვევების, ძალადობის, თუ არჩეული ან დანიშნული თანამდებობის დროზე ადრე დატოვების მიზნით მოხელეებზე ზეწოლის შესახებ.

- უწყებათაშორისმა კომისიამ საზოგადოებას მიაწოდოს რეგულარული და ყოვლისმომცველი ინფორმაცია ყველა წამოჭრილი პრობლემატური საარჩევნო საკითხის შესახებ, ასევე აღნიშნული საკითხების შესასწავლად გატარებული ღონისძიებებისა და მათზე რეაგირების შესახებ.

- ძალოვანმა უწყებებმა დაიცვან შეკრების თავისუფლება და უზრუნველყონ საკმარისი დაცვა ძალადობის თავიდან ასაცილებლად.

- პოლიციამ, პროკურორებმა და მოსამართლეებმა უზრუნველყონ, რომ სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შემთხვევებში (მაგ. არჩევნებთან დაკავშირებული ძალადობა) გამოყენებული სანქციები დარღვევის პროპორციული იყოს და ემსახურებოდეს მომავალში მსგავსი დარღვევების პრევენციას.

- სახელმწიფო თანამდებობის პირებმა უზრუნველყონ, რომ ყველა საჯარო მოხელე სრულად იყოს ინფორმირებული ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების წესების შესახებ და გაატარონ სანქციები ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში.

- პოლიტიკურმა ლიდერებმა მუდმივად უზრუნველყონ, რომ მათ მხარდამჭერებს და აქტივისტებს ნათლად ქონდეთ გაცნობიერებული, რომ პოლიტიკურ კამპანიაში ძალადობის ადგილი არ არის. მათ ასევე მკაცრი ზომები უნდა გაატარონ იმ მხარდამჭერების მიმართ, ვინც ძალადობრივ ქმედებებში იქნება ჩართული.

- პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ დაასახელოს, ხოლო ცესკომ ან პარლამენტმა სწრაფად დაამტკიცოს ცესკოს ახალი, კვალიფიციური თავმჯდომარე, რომელიც პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ნდობით სარგებლობს.

- ცესკომ, იუსტიციის სამინისტრომ, პოლიტიკურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა განახორციელონ ყოვლისმომცველი საგანმანათლებლო ღონისძიებები, რათა მოქალაქეები ფლობდნენ ინფორმაციას ამომრჩეველთა სიებში საკუთარი თავის გადამოწმებისა და, საჭიროების შემთხვევაში, რეგისტრაციის სტატუსის განახლების აუცილებლობის შესახებ.

- პოლიტიკურმა პარტიებმა და კანდიდატებმა დაფინანსების წყაროებისა და ხარჯების შესახებ დროული და ზუსტი ანგარიშები წარადგინონ.

- სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კამპანიის დაფინანსების განმსაზღვრელი ნორმები და სანქციები მიუკერძოებლად და თანმიმდევრულად გამოიყენოს.

- კამპანიის დაფინანსების განმსაზღვრელი ახალი ნორმების გათვალისწინებით, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა უზრუნველყოს, თანამშრომლების სრული ტრენინგი, რათა მოახერხოს კანონმდებლობის დაცვის მონიტორინგი და აღსრულება.

- საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი შეეცადოს, შეინარჩუნოს არჩევნების დაბალანსებული გაშუქება, განსაკუთრებით მმართველობასა და პროგრამებში მიმდინარე ცვლილებების ფონზე.

- ცესკო ყველანაირად შეეცადოს, ეთნიკური უმცირესობების ენებზე არსებული საარჩევნო მასალები უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების მიღმაც გაავრცელოს.

- ცესკომ გააძლიეროს ამომრჩეველთა განათლების ძალისხმევა უმცირესობებით დასახლებულ ადგილებში და უზრუნველყოს უმცირესობათა ადეკვატური წარმომადგენლობა საარჩევნო კომისიების შემადგენლობაში

შემდეგი რეკომენდაციები ეხება 2014 წლის ადგილობრივ არჩევნებსა და მის შემდგომ პერიოდს:

- პარლამენტმა ნათლად განსაზღვროს სამართლებრივი ნორმები, რომლებიც არეგულირებს, თუ რა სახის მონაწილეობაა დასაშვები თანამდებობის პირებისთვის კამპანიაში.

- ადგილობრივი არჩევნების შესახებ კანონმდებლობაში ნებისმიერი გაუმჯობესება პარლამენტმა შეძლებისდაგვარად სწრაფად მიიღოს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს ბოლო წუთს მიღებული შესწორებები.

- პარლამენტმა იფიქროს საჯარო სამსახურის ყოვლისმომცველი, მერიტოკრატიაზე დაფუძნებული რეფორმის შესახებ, რათა უზრუნველყოს საჯარო მოხელეების უწყვეტი დასაქმება, არჩევნების შედეგების მიუხედავად.

- პარლამენტმა, იუსტიციის სამინისტრომ და ცესკომ განიხილონ ალტერნატიული გზები, რომლებიც რეგისტრაციიდან მოხსნილ პირებს არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას შეუქმნის და, ამავდროულად, არჩევნების სანდოობას შენარჩუნებს.

- პარლამენტმა უზრუნველყოს, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად საჭირო რესურსები გააჩნდეს.

- პარლამენტმა, იუსტიციის სამინისტრომ და ცესკომ ფრთხილად განიხილონ ნებისმიერი ახალი ბიომეტრიული საიდენტიფიკაციო სისტემის განხორციელების ალტერნატივები, რათა არ მოხდეს ამომრჩევლისთვის საარჩევნო უფლების შეზღუდვა.

- მომავალი ადგილობრივი არჩევნებისთვის პოლიტიკურმა პარტიებმა შეარჩიონ, მოამზადონ და დააყენონ ქალ კანდიდატთა მეტი რაოდენობა და მეტად განავითარონ პარტიის ინფრასტრუქტურა, რათა მხარი დაუჭირონ ქალებს და მათ პრობლემებთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები პარტიის პოლიტიკის ფორმირებისას გაითვალისწინონ.

###

NDI-ის საკონტაქტო ინფორმაცია:

ქეთი გესტი, საზოგადოებასთან ურთიერთობის დირექტორი, kgest@ndi.org
თეონა ყუფუნია, NDI-საქართველო, +995 577 719134 ან tkupunia@ndi.org

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისთვის მსოფლიოში. დამატებითი ინფორმაციია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org